

ლერი ჯიბლაძე

**კოლხეთის მთისწინა ზოლისა და მთიანეთის სამოსახლოდ ათვისების საკითხები ბრინჯაოს ხანაში**

კოლხეთში ბრინჯაოს მეტალურგიულ წამოებასთან დაკავშირებული არაერთ პრობლემათა შორის ყურადღებას იპყრობს ერთი მეტად საინტერესო საკითხი. კერძოდ, ცენტრალური კავკასიონის სამხრეთ ფერდზე განლაგებულ სამთამადნო წარმოების ძეგლებთან (მთიანი აფხაზეთი, სვანეთი, ზემო რაჭა) ახლოს ან მიმდებარე ტერიტორიებზე არსებობდა თუარა ე.წ. სამთო-მეტალურგიული დასახლებები. ამ თვალსაზრისით ასევე მხედველობაში გვაქვს მცირე კავკასიონის მთიანეთში განფენილი სპილენძის საბადოებისა და პოლიმეტალური მადნების გავრცელების ზონა (გურია-აჭარის მხარე, მდ. აჭარისწყლის, მდინარე მერისის, ხეობათა ზემო წელი, მდ. ნატანებისა და ბახვისწყლის სათავეები), სადაც მართალია სპილენძის ძველი გამონამუშევრების კვალი არ დასტურდება, მაგრამ შესაძლოა შორეულ წარსულში ეს საბადოები პოტენციურად დამუშავების ობიექტები ყოფილიყვნენ და მათი კვალი დროთა განმავლობაში გამქრალიყო. თუ დაუშვებთ მოსაზრებას, რომ აღნიშნულ რეგიონებში არსებობდა ე.წ. სამთო-მეტალურგიული დასახლებები, მაშინ წამოიჭრება მეორე არანაკლებ საინტერესო საკითხი: როგორი ხასიათის უნდა ყოფილიყო ამ ტიპის დასახლებები-დროებითი (სეზონური), თუ სტაციონალური; ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ამ სამუშაოებით დაკავებული ხალხი, ბარიდან (მსხვილ სამოსახლო ცენტრებთან გამართული ბრინჯაოს სანარმოო რაიონებიდან) მთაში არსებული მკაცრი კლიმატური პირობებიდან გამომდინარე (მაგალითად ზემო სვანეთისა და ზემო რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლები დაახლოებით 6-7 თვის განმავლობაში ზამთარი) დროებით ასულები იყვნენ სეზონური სამუშაოების წარმოებისთვის. ამ საკითხებს იმიტომ ვსვამთ, რომ სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით, თუ არ ჩავთვლით შემთხვევით აღმოჩენილ სპილენძ-ბრინჯაოს ინვენტარებს, სამაროვნის მასალებსა და ა.შ. კოლხეთის მთიანეთში სამთამადნო წარმოების ექსპლოატაციის დასაწყისიდან (ადრებრინჯაოს დასასრული, შუაბრინჯაოს დასაწყისი) მთელი ძვ.წ. II ათასწლეულის განმავლობაში არ ჩანს დასახლებები. საყურადღებოა, კოლხეთის მთიანეთში ბრინჯაოს ხანაში რა მიზეზებმა განაპირობეს მოსახლეობათა ლტოლვა და შემდეგ დაფუძნება. ეს იყო მათი

საერთო სურვილებით ნაკარნახევი, თუ რაღაცის ძიებამ, რომელიც შესაძლოა ბართან შედარებით საიალალო მესაქონლეობის განვითარებისათვის უკეთესი პირობების არსებობით იყო ნაკარნახევი, ისინი მთაში მიიყვანა. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მკვეთრმა აღმავლობამ შუაბრინჯაოდან გვიანბრინჯაოზე გარდამავალ ხანაში და გვიანბრინჯაოს ადრეულ საფეხურზე გაზარდა მოთხოვნილება სპილენძის მადანზე. სწორედ ამ ფაქტორებმა გამოიწვიეს იმ მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ბარიდან მთაში ანაცვლება და კავკასიონის კალთების ინტენსიური ათვისება, რომლებიც ბარში მეტალურგიული საქმიანობით იყვნენ დაკავებულნი [ბარამიძე 1998:129]. ამ საკითხებზე მუშაობისას დღის წესრიგში დგება ბრინჯაოს ხანაში მთისა და ბარის ურთიერთობათა გარკვევა [კვიციანი; ჯიბლაძე 2010: 32-36]. კერძოდ, მეტნაკლებად დასადგენია ეს პრობლემა ხომ არ იყო დაფუძნებული მთიდან ბარში მარტო სპილენძის ნედლეულით მომარაგებაზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული საკითხები დღესდღეობით საკმაოდ ბუნდოვნად გამოიყურება და არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგანი. მოკლედ განვიხილავთ ამ საკითხებს კოლხეთის მთიანეთის სამოსახლოდ ათვისების საერთო ფონზე.

მდ. აჭარისწყლისა და მისი შენაკადის მდ. მერისის ზემო წელზე, სადაც გამოვლენილია სპილენძის გამადნების ზონა, სტაციონალური გათხრებითა და ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები არ დასტურდება.<sup>1</sup> მდ. აჭარისწყლის ზემო წელზე, სპილენძის გამადნების ზონაში, აღმოჩენილია გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძები: მახუნცეთი, სიხალიძეები (ქედის რ-ნი), დიდაჭარა, ხიხაძირი (ხულოს რ-ნი) და ა.შ. ამ მდინარის ხეობიდან მომდინარეობს ასევე ფუმრუკაულის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის სამარხეული კომპლექსი (ადრე ცნობილი იყო ვერნების განძის სახელწოდებით). მდ. ჭოროხის ქვემო წელიდან კი ცნობილია კირნათის, თხილნარის, გვარას, ზუნდაქის და სხვა განძები [რამიშვილი 1974:27, ტაბ. XV; კახიძე; მამულაძე 1993:16, 20, 18-26,27; 2000: 53-62, 69-73; ლორთქიფანიძე 2001: 192-194]. მთიან აჭარაში სხვადასხვა პერიოდში გამოვლენილი გვიანბრინჯაოს ხანის განძები, შესაძლოა მიუთითებდეს მათი

<sup>1</sup> ზემო აჭარის ტერიტორიაზე ხულოსა და შუახევის რაიონების სოფლებში (ბეშუმი, სოფ. ხიხაძირი-თიკანაური, ნაბლანა, ყიშლარი, ჭვანა) ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით გვხვდება ნეოლითური ხანის მასალები [კახიძე; მამულაძე 1993:11-13; 2000: 15; გოგიტიძე 1978: 66, 68, 90; 2008: 121-123].

ჩაფლვის ადგილებზე ლითონის საჩამომსხმელო საქმიანობაზე.<sup>2</sup> აჭარის მთიანეთში ლითონჩამომსხმელი საქმიანობის პროფესიის ხალხს, ბრინჯაოს განძების ჩაფლვის ადგილებზე და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე დიდი ალბათობით სტაციონალური თუ არა დროებითი (სეზონური) დასახლებები მაინც უნდა ჰქონოდათ. თუმცა, საამისოდ ამის დამადასტურებელი მონაცემები არ გავაჩნია. არსებული მასალების მიხედვით დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ბრინჯაოს ხანაში აჭარის მაღალმთიან ზოლში (სპილენძის გამადნების ზონაში), მოსახლეობა უპირატესობას აძლევდა ბარში ცხოვრებას, სადაც მსხვილი დასახლებათა კომპლექსები არსებობდა. შესაძლოა, ისინი აქ ბარიდან ამოდიოდნენ სპილენძის მადნებზე სეზონური სამუშაოების წარმოებისთვის და ნედლეული მასალებით ამარაგებდნენ ძირითადად ბარში გამართულ ბრინჯაოს საწარმოო სახელოსნოებს.

როგორც აღინიშნა, მცირე კავკასიონის მთიანეთში, მდ. ბახვისწყლისა (მდ. სუფსის მარჯვენა შენაკადი) და მდ. ნატანების სათავეებში გამოვლენილია სპილენძის საბადოები და პოლიმეტალური მადნები.<sup>3</sup> გარდა ამისა აქ დასტურდება ადგილობრივი მნიშვნელობის სპილენძის საბადოები როგორცაა უჩხოზი, ქორისბუდე, ზოტი, ფამფალეთი [ქორიძე 1965:127].

ზემო გურიის რეგიონი სხვადასხვა ეპოქაში საკმაოდ მჭიდროდ ჩანს განსახლებული. ჩვენი ყურადღების სფეროში ექცევა ამ მხარის სამოსახლოდ ათვისების საკითხები ბრინჯაოს ეპოქაში. არსე-

<sup>2</sup> კოლხეთში ზოგადად ამ ფაქტზე გარკვეულ წარმოდგენას უნდა გვიქმნიდეს განძების (თაგილონი, ცხირო გალი), თანმხლები ყალიბები, ზოგიერთი განძის აღმოჩენის ადგილებზე (სოხუმის მთა, ოჩამჩირე-1961, გალის 1956, 1959 წწ, მახინჯაური) დაფიქსირებული ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების მეორადი კვალი (სპილენძის სადნობი ქურების ნაშთები და ა.შ.) [Ивееен 1935:124, სურ. 5; ქორიძე 1965:33, სურ.24; ხვისტანი 1986:70 ].

<sup>3</sup> მდინარეები ბახვისწყალი და ნატანები (ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიები) სათავეებს იღებენ მესხეთის ქედის ჩრდილო-დასავლეთი და ჩრდილოეთი მხრიდან. ბახვისწყალი (ბარამიძეების წყალი) ჩამოედის სამთო დასახლება ზოტიყელს და ბახმაროს, ხოლო ნატანები გამოედინება მწვერვალ საყორნიასთან [აფხაზავა, ქსე 1977: 254; აფხაზავა, ქსე 1984:327]. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ გურიის რეგიონი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული ქვის ხანიდან მოყოლებული სხვადასხვა ეპოქების ჩათვლით [ჭანიშვილი; სადრაძე 1996:41-54; ჭანიშვილი სხვ. 2006: 130-143; ლლივაშვილი და სხვ. 2016:157-173]. ამ ძეგლების დეტალურ ჩამოთვლას არ შეუდგებთ და საერთოდ ამ საკითხებზე დაწვრილებით იხილეთ გურიის კრებულის სერიული გამოცემებში (გურია I 1996; გურია II 1997; გურია III, 2001; გურია IV, 2006; გურია V, 2007; გურია VI, 2016 ) გამოქვეყნებული ცალკეული სტატიები.

ბული მასალების მიხედვით ნათლად დასტურდება, რომ ზემო გურიის განსახლება ინტენსიურად უნდა მიმდინარეობდეს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში. ამაზე უნდა მიუთითებდეს ამ პერიოდის შემორჩენილი ნამოსახლარების ნაშთები, გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის განძებისა და სხვა ბრინჯაოს ინვეტარის შემთხვევითი აღმოჩენები. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ სამოსახლოს ნაშთები უშუალოდ მიკვლეულია სპილენძის საბადოებთან ახლოს: ზოტი (მდ. გუბაზეულის ხეობა), ვაკიჯვარი-ქორისბუდე (ოზურგეთის რ-ნი, მდ. ნატანების სანაპიროზე), ვაკიჯვარი (ოთოგვანის ნამოსახლარი), ფამფალეთი (ვაკიჯვარის თემი). იქნებ ამ ადგილებში დასახლებათა წარმოქმნა-დაფუძნება განაპირობა სპილენძის ან რკინის საბადოების მიმართ უძველესი მოსახლეობის გარკვეულმა ინტერესებმა. ხომ არ გვაძლევს ეს ფაქტი გარკვეულ საფუძველს იმაზე, რომ მოხსენიებულ ადგილებში ვივარაუდოთ შედარებით მცირე მამტაბების მქონე დასახლებები, რომლებიც სხვა საქმიანობასთან ერთად, ძირითადად ორიენტირებული უნდა ყოფილიყვნენ მეტალურგიულ საქმიანობაზე.

ლერხუმის ტერიტორიას აქ არსებული სპილენძის უძველესი გამონამუშევრებითა და აღმოჩენილი განძების საფუძველზე განიხილავენ კოლხური კულტურის ბრინჯაოს მეტალურგიული წარმოების ერთ-ერთ უძველეს კერად [Иессен 1935:112,128; ჯაფარიძე 1950:52; საქართველოს არქეოლოგია 1959:142; ქორიძე 1965: 142-144; სახაროვა 1976: 24]. ლერხუმში სადღეისოდ არსებული მონაცემებით ყველაზე უადრესი სტაციონარული სამოსახლოები მომდინარეობს ძვ.წ. VIII-VII სს-ებიდან ( ცხეთა, კოვრაში) [სახაროვა 1976: 96-104; სახაროვა; სულავა 2014:67-86; გაბიძაშვილი და სხვ. 2004:121-123]. დაახლოებით ამ პერიოდისა უნდა იყოს გონას სამაროვნის სამარხეული ინვეტარიც [გაბიძაშვილი და სხვ. 2004:123] და ამ რეგიონში გამოვლენილი 10 ბრინჯაოს განძი (ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრული ძვ.წ. I ათასწლეულის დასაწყისი). აღნიშნულ მონაცემებთან ერთად ბრინჯაოს ინვეტარის ცალკეული აღმოჩენებიც უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ლერხუმში მოსახლეობის დაფუძნება ზოგადად ხდება ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულიდან [სახაროვა 1976; სულავა 2014: 46-53].<sup>4</sup> თითქმის ამავე პერიოდს უნდა ემთხვეოდეს ის უძველესი სპილენძის

<sup>4</sup> ზედაპირულად აკრეფილი მასალების მიხედვით ლერხუმის ტერიტორიიდან მომდინარეობს უფრო ადრეული ქვის ხანის პერიოდის მასალები (პალეოლითი, ნეოლითი, ქალკოლითი) [ალაპიშვილი 2014: 30-32, ტაბ. 1-10; კალანდაძე 2006:36-43]. როგორც სტაციონარული გათხრებით [სულავა 1996], ასევე დაზვერვებითა და შემთხვევითი აღმოჩენების მიხედვით (ბრინჯაოს კოლხური ცული, ჭვირული ბალთა, რკინის შუბისპირები) ლერხუმის ტერიტორიაზე წარმოდგენილია წინაურ და ანტიკური ხანის მასალები [ნუცუბიძე და სხვ. 1979; Нуцубидзе 1982:125-136].

გამონამუშევრები, რომლებიც დაფიქსირებულია ამ რეგიონის არაერთ პუნქტში (სოფ. ცაგერა-უცულათის წვერის მიდამოები, ოფიტარე, ოყურეში, ლაშუპიტა, მექვენა, უსახელო, ლაილაში და სხვ.) [სახაროვა 1966: 1976:24; ლამბაშიძე 1963:31].

ლექსუმში გამოვლენილ ბრინჯაოს ნივთებს შორის ყველაზე ადრეულია ორბელის ყუამილიანი ცული, რომელსაც ძვ. წ. III ათასწლეულით ათარილებენ [ქორიძე 1965:163; სულავა 2014:40-45]. ეს ცული გასაოცარ მსგავსებას ამჟღავნებს სვანეთის შუაბრინჯაოს ხანის ზოგიერთ ნიმუშთან [ჩართოლანი 1996:67, სურ. 6]. საამისოდ არა გვაქვს მონაცემები, რომ ეს ცული ადგილზე ჩამოსხმულად ჩავთვალოთ. უფრო მისაღებად მიგვაჩნია ვიგულისხმეთ სვანეთის ტერიტორიიდან ამ არტეფაქტის მოხვედრა მდ. ცხენისწყლის ხეობის გავლით. როგორც ცნობილია, მდ. ცხენისწყლის ხეობაში გადიოდა ბართან დამაკავშირებელი უძველესი საკომუნიკაციო გზები. იქნებ ეს ნივთი პრეისტორიულ ხანაში მთასა და ბარს შორის ამ საკომუნიკაციო გზებზე მიმოსვლის ერთგვარი ანარეკლიც იყოს.

აღსანიშნავია, რომ XIX ს 40-50-იანი წლების შემდეგ ზემო რაჭა ბრილის სამაროვნისა და აქ განლაგებული სამთამადნო წარმოების ძეგლების გათხრების შემდეგ, ფაქტიურად შეუსწავლელია. რაჭაში ბრინჯაო-ადრერკინის ხანის არცერთი ნამოსახლარი არ არის მიკვლეული, რომელიც ვიზუალურად გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნიდა ამ რეგიონის სამოსახლოდ ათვისების საკითხებზე. თუმცა ბრილის სამაროვნის მასალების მიხედვით, რომელიც ლებიდან დაცილებულია დაახლოვებით 11 კმ. მანძილზე, უნდა ვიგულისხმეთ რაჭის განსახლების დაწყება შუაბრინჯაოს სანყისი პერიოდიდან. ამ ძეგლზე, რომელიც მდებარეობს ზღვის დონიდან 1600 მ-ზე, გამოიყოფა რამდენიმე ფენა, რომელთაგან უძველესი განეკუთვნება შუაბრინჯაოს ხანას. როგორც ჩანს, ბრილის სამაროვანი მოქმედებდა ძვ.წ. II ათასწლეულის დასაწყისიდან, ვიდრე ძვ.წ. III-IV სს-მდე. ეს ფაქტი უნდა გვაძლევდეს გარკვეულ საფუძველს იმაზე, რომ ამ მიდამოებში შუაბრინჯაოს ხანიდან მოსახლეობა მყარად, მუდმივად ცხოვრობდა. სამარხებში გვხვდება შუა და გვიანბრინჯაოს ხანის არაერთი საყურადღებო ბრინჯაოს ინვენტარი როგორცაა: სატევრისპირები, შუბისპირები, ყუამილიანყუადაშვებული ცულები, სასაფეთქლე ხვიები, ბალთები, დუგმები, საკინძები, სხვადასხვა ცხოველისა და ფრინველის ქანდაკებები, მათ შორის საპარადო საკულტო დანიშნულების მქონე [გობეჯიშვილი 1942:56-61]. უნდა დაუშვათ, რომ სამაროვანთან ახლოს მდებარეობდა ნამოსახლარი, სადაც მიმდინარეობდა ამ ნივთების დამზადება და სამარხებში ჩატანება. სპილენძის ნედლეულით აღ-

ბათ მარაგდებოდა იქვე ახლოს მდებარე სამთამადნო წარმოების ძეგლებიდან. დიდი ალბათობით სავარაუდოა, რომ ამ სამაროვნის შუა და გვიანბრინჯაოს ხანის ფენები წარმოადგენდა სამთამადნო წარმოების ძეგლებზე მომუშავე ხალხის საძვლეს. აქ განსვენებული ხალხის ძირითადი საქმიანობა საიალალო მეჯოგეობასთან ერთად, უნდა ყოფილიყო სამთო საქმე და მეტალურგიული წარმოება. ისინი მომთაბარე ცხოვრებას მისდევდნენ, ალბათ მუდმივად ინაცვლებდნენ ადგილებს. იქნებ ამიტომაც ჭირს მათი საცხოვრებლის მიგნება. სამთო-მეტალურგების ერთ-ერთი განსასვენებელი ადგილი კი სავარაუდოდ ბრილის სამაროვანი უნდა ყოფილიყო. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ბრილში სამაროვანთან ახლოს იხსენიებენ ადრე-ანტიკური ხანის ძველი სამოსახლოს (ძვ.წ. V–IV სს-ები), კერძოდ ქვის საძირკვლიან ნაგებობის ნაშთებს, რომელიც ხურდა ქვებით ყოფილა შევსებული და ზემოდან სავარაუდოდ ხის კონსტრუქცია მდგარა. ჩვენთვის ეს ნასოფლარი განსაკუთრებით იმითაც არის საყურადღებო, რომ ნანგრევებს შორის აღმოჩენილა სპილენძის მადნის დასამუშავებელი ქვები [ლამბაშიძე 1961:23]. როგორც ირკვევა, ადრე ანტიკურ ხანაშიც აქ მაცხოვრებელი ხალხი დაკავებული ყოფილა ლითონის წარმოებით. სხვანაირ ახსნას ვერ ვპოულობთ აღნიშნულ ფაქტზე.

ზემო რაჭის ტერიტორიაზე ასევე გვხვდება შემთხვევით აღმოჩენილი ჭვირული ბალთები (სოფ. ლებთან – შოშიეთის ნეკროპოლი, გართან – ადგილი საელიო, ახალსოფელი და სხვ.) [გობეჯიშვილი 1942:42-434; Уварова 1890:349-355, ტაბ. CXXXIV]. ზემო რაჭის ტერიტორიიდან ასევე ცნობილია სოფ. ღარის კოლექცია, რომელსაც უკავშირებენ სამარხულ ინვენტარს და შედგება დაახლოვებით 38 ბრინჯაოს ნივთისგან [Куфтин 1949a: 44-48, ტაბ. XXIX, XXX, XXXI].<sup>5</sup> სხვა კატეგორიის ბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებიდან მხოლოდ ქვემო რაჭიდანაა ცნობილი კოლხური კულტურის არეალში შემავალი განძები (ბუგეული, ტოლა, სინათლე, თხმორი, ქვიშარი, I, II [ქორიძე 1965:11,31-32,34,36,41; ლორთქიფანიძე 2001:193; სურ. I].<sup>6</sup> აქედან ბრილის სამაროვნის ქვედა ფენებს ქრონოლოგიურად უახლოვდება ქვიშარის I განძი (შუა ბრინჯაოს ხანის დაასრული), რომელიც კიდევ ერთხელ უნდა ამაგრებდეს იმ მოსაზრებას, რომ

<sup>5</sup> სოფ. ღარში ბრინჯაოს ნივთებისგან შემდგარი კოლექცია შემთხვევით აღმოუჩენიათ 1896 წელს ვენახის ბარვის დროს.

<sup>6</sup> უკანასკნელ პერიოდში ამბროლაურის რ-ნის,სოფ. ზნაკვში, ადგილ საკეციაში შემთხვევით აღმოჩნდა ბრინჯაოს არტეფაქტები, რომლებიც დიდი ალბათობით განძს უნდა უკავშირდებოდეს.

სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით რაჭის მთიანეთის სამოსახლოდ ათვისება იწყება შუაბრინჯაოს ხანაში. დანარჩენი განძები კი ზოგადად ძვ.წ. II ათასწლეულის დასასრულსა და ძვ. წ. I ათასწლეულის სანყის ხანას განეკუთვნება.<sup>7</sup>

ქვემო რაჭიდან ცნობილია შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ნივთები (კოლხური ცული, რგოლები, სამაჯური, დანები, ცხვრის თავის გამოსახულებიანი ნივთი, ბეჭედი, თიხის საცრემლეები, რკინის ხანჯალი), რომლებიც სავარაუდოდ წინარე და ადრეანტიკური ხანისა უნდა იყოს [ბოჭორიძე 1994:321,329-330].

საინტერესოა, როდის ხდება სვანეთის რეგიონის სამოსახლოდ ათვისება, სადაც აღმოჩენილია სპილენძის უძველესი გამოწამყვანები. ამ მხარეში ზედაპირულად აკრეფილი მასალებითა და სადაზვერვო გავლებული თხრილებით (მესტიის რ-ნის სოფ. ლენჯერა, ლენტეხის რ-ნი ადგილი „ლაზგა“) ყველაზე ადრეული უძველესი ადამიანის ნაბინადრევი ჩანს ნეოლითის პერიოდიდან [გრიგოლია 1974:93; ჩართოლანი 1996:38-39]. საყურადღებოა, დღეისათვის რა ფაქტობრივ მასალას იძლევა სვანეთის არქეოლოგიური მონაცემები. აღსანიშნავია, რომ სვანეთში დღემდე არაა აღმოჩენილი ადრე და შუაბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები. ისინი აქ უნდა არსებულიყო და უბრალოდ ჯერჯერობით მიკვლეული არ არის. ამ ფაქტს უნდა ადასტურებდეს სვანეთში გამოვლენილი ადრე და შუაბრინჯაოს ხანის მრავალრიცხოვანი ლითონის ინვენტარი (სხვადასხვა ტიპის ყუადაქანებული, ყუამილიანი ცულები, ბრტყელი ცულები, შუბისპირები და ა.შ.), რომელთა ჩამომსხმელი უნდა ყოფილიყო დღემდე მიუკვლეველ ამავე ეპოქის ნამოსახლარებზე მცხოვრები პროტოკოლხური კულტურის მატარებელი, ქართველური ეთნიკური ნაკადი სვანურენოვანი მოსახლეობა. მაგრამ საყურადღებოა, როგორი ხასიათის უნდა ყოფილიყო ეს ნამოსახლარები: სვანეთის მკაცრი

<sup>7</sup> რაჭის ტერიტორიიდან მომდინარეობს შემთხვევითი აღმოჩენილი სხვადასხვა პერიოდის ნივთები: ყუახვრელიანი ქვის ცული (საკაო – ნეოლითი), ხელსაფეხავები (ენეოლითი), კაჟის ისრისპირები (შუა ბრინჯაოს ხანა), ბრინჯაოს საკიდი, კოლხური ცული (სორი) [ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კატალოგი 2014:30,36-37]. ბრინჯაოს ბრტყელი ცულები აღმოჩენილია ამბროლაურის რ-ნის სოფ. ჭყვიში ლაბეჭინის მთავარანგელოზის XI ს-ის ეკლესიის ნაყარი ფენებისგან განმეხდისას და ონში [ძნელაძე 1999-2001:180]. საინტერესოა, რომ ბრილისა და შოშიეთის გარდა ისხენიბენ გორმანის, ორღობის, საარნივადის, თევრემოს ნეკროპოლებს (პერიოდი მითითებული არ არის). ასევე ერთმანეთისგან 1 კმ. დაშორებულ შრომისუბნისა და კვამხიეთის სამაროვნებს [გობეჯიშვილი 1942:45; 1963:26-30]. აქვე შევნიშნავთ, რომ კვამხიეთში (ახიდული სერი) ჯერ კიდევ 1953 წ. გაუთხრიათ სამი სამარხი, ხოლო 1962 წ. კი ახ. წ. II-III სს-ების 8 სამარხი. შრომისუბანში დაუფიქსირებიათ რბილ ქანში ამოჭრილი სამი ხელუხლებელი სწორკუთხოვანი ორმო სამარხები. აქ ადრე გაძარცულ ძვ.წ. V-IV სს-ების სამარხის ამოყრულ მასალებში უნახიათ ოქროს კილიტი, ბრინჯაოს ზარაკი. საერთოდ რაჭის ტერიტორიაზე ყველაზე უძველესი ადამიანის ნაბინადრევი ჩანს სოფ. ქვედაში ბოჭონას მთის კირქვიან მასივში (მეზოლითის ხანა) [ბერაძე 1983:47].

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე სეზონური თუ სტაციონარული, რომელზედაც პასუხის გაცემას ქვემოთ შევეცდებით.

სამწუხაროდ, ჩვენი ცოდნა სვანეთის გვიანბრინჯაო-ადრერეკინის ხანის ნამოსახლარების არსებობაზე ძალზე შეზღუდულია. ამ პერიოდის ძეგლები (სოფ. იფარში – ლასილა-ლაროლარ, ლასილა-სგიმულდ, ბოგრემის გვიანბრინჯაოს ხანის ფენა, სოფ. კალაში სკარემის გორა, მესტიაში – ზურულდ), თუ არ ჩავთლით კლასიკური ხანის ლარილარის სამაროვანს, ხაიშს, ეცერისა და უმგულის ნამოსახლარებს, სტაციონარული არქეოლოგიური გათხრებით შესწავლილი არ ყოფილა [ჩართოლანი 1972:71-72; 1996:128].<sup>8</sup> ისინი დაფიქსირებულია მხოლოდ არქეოლოგიური დაზვერვებითა (ზედაპირულად შეკრებილი მასალების მიხედვით) და მცირე მაშტაბის გათხრებით. შემთხვევით აღმოჩენილი ბრინჯაოს ინვენტარი (სხვადასხვა ტიპის კოლხური ცულები, ნამგლები, თოხები, სატეხები, ბაბილეს ბრინჯაოს კოლექცია, ქართვანი და სხვ) ზოგიერთი ლოკალური თავისებურებების გათვალისწინებით, ნათლად მიუთითებს იმაზე, რომ სვანეთის რეგიონი მძლავრად იყო ჩართული ძველი კოლხური კულტურის რადიაციის ზონაში. სვანეთის უადრესი ყუადაქანებული ცულებითა (წვირმი, იფარი, ქვემო ლუჰა) და სპილენძის უყუნხო სატევერისპირის მიხედვით, რომელთა კულტურული კუთვნილების ვიზუალური გარკვევა ჭირს, ამ მხარეში მოსახლეობის ნაკვაღევი შესაძლოა ჩანდეს ძვ.წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევრიდან (ვგულისხმობთ მტკვარ-არაქსისა<sup>9</sup> და ნოვოსვაბოდნაის კულტურებში, ანალოგიური ნიმუშების შემცველი კომპლექსებიდან მიღებულ C-14 თარიღებს) [კვიციანი; ჯიბლაძე 2015:29, 88, 101]. ფიქრობენ, რომ სვანურენოვანი მოსახლეობა უკვე ძვ.წ. III ათასწლეულის მეორე ნახევრიდან (ტრადიციული დათარიღებით) დაფუძნდა ამ მხარეში [Чартолани 1989: 244; ჩართოლანი მ. 1992:74; კვიციანი, ჯიბლაძე 2015:88]. ამასთან ერთად მიაჩნიათ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულიდან მდ. ენგურის (ასევე მდ. რიონის, კოდორის) ხეობების სამოსახლოდ ათვისება უნდა უკავშირდებოდეს ლითონის საბადოების მოპოვებას [ჩართოლანი მ. 1992:81].

საინტერესოა, ჩრდილო-დასავლეთ კოლხეთის მთიანეთში (მდ. კოდორისა და მდ. ბზიფის სათავეები), სადაც განფენილია სპილენძის

<sup>8</sup> 2011-2014 წ.წ. ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის არქეოლოგიის ინსტიტუტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტთა მონაწილეობით განახლდა სვანეთის უმდიდრესი კულტურული მემკვიდრეობის შემსწავლელი არქეოლოგიური ექსპედიციები (ხელმძღვანელი ზ. კვიციანი). გამოვლენილი და შესწავლილი იქნა სხვადასხვა პერიოდის არაერთი ძეგლი. მათ შორის ბოგრემის მრავალფენიანი ნამოსახლარი (ძვ.წ. XV-IV სს-ები) [კვიციანი; ჯიბლაძე 2015:13-14].

<sup>9</sup> მხედველობაში გვაქვს თისელის სერის ნამოსახლარზე აღმოჩენილი სპილენძის ყუადაქანებული ცული [გოგოჭური; ორჯონიკიძე 2010: 110-118].



უძველესი გამონამუშევრები, რა პერიოდიდან ხდება სამოსახლოდ ათვისება. ეს ფაქტი თუ უკავშირდება სპილენძის მადნის მოპოვებას. როგორც ცნობილია, ბზიფის სათავეებში გამოიყოფა ადნაგეს ჯგუფი, სადაც შედის ამიბურის, შხაბზიას, შხაპარტისა და ბაშკაფცარას ძველი სპილენძის გამონამუშევრები [Муджири 2010:50]. კოდორის ჯგუფი კი განლაგებულია ამავე სახელწოდების მდინარის სათავეებში, სადაც ტვიბრამენში და ზიგსკში ძლიერი გამონამუშევრები გამოიყოფა. ძველი მალარო გამონამუშევრები განფენილია დაახლოებით 80 კმ. სიგრძეზე [ჩართოლანი 1971: 50; ინანიშვილი და სხვ. 1998: 53].

მთიან აფხაზეთში, სამთამადნო წარმოების ძეგლებთან დამაკავშირებელ ბილიკებზე (საკომუნიკაციო გზებზე), ძვ.წ. III-II ათასწლეულების არქეოლოგიური ობიექტები ცნობილია მხოლოდ სამარხებით (სანჩარის, ჯამპალის, აზანთას, სულის, ჩხალთას დოლმენები, ლავინაია ბალკა, კალდახავარა – ერთი სამარხი), შემთხვევითი მონაპოვარი ლითონის ინვენტარით, ზედაპირულად აკრეფილი კერამიკული მასალების მიხედვით, საცხოვრებელი მღვიმე ფარდულებით (ახრა-კაფში, პალი – მდ. კოდორის მარჯვენა სანაპირო, კამან I-სოხუმის ჩრდილოეთით 8 კმ-ზე, ივაშჩენკო და სხვ.).<sup>10</sup> ზოგიერთი მღვიმე-ფარდულების კულტურული ფენები ჩაჭრილი ყოფილა ორმოსამარხებით (შრომა-მიხაილოვსკი, კამან I) [Соловьев 1960: 69-100; Воронов 1982:11-17; Цвинария 1990].<sup>11</sup> მდ. კოდორისა და ბზიფის სათ-

<sup>10</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთი გამოქვაბულის ზედა ფენას, სადაც ნაპოვია მეტალურგიასთან დაკავშირებული ნივთები, საცხოვრებლად იყენებდნენ ძველი მეტალურგები [ჯაფარიძე 2013:16].

<sup>11</sup> როგორც ჩანს, ძირეულ წარსულში ხელსაყრელი საცხოვრებელი პირობების გამო მთიანი აფხაზეთის სამოსახლოდ ათვისება იწყება ქვის ხანიდან (მღვიმე-გამოქვაბულები სვანთა სავანე, აფიანჩა, ჯამპალი და ა.შ.) [აფხაზეთის უძველესი მატერიალური კულტურა 2013:28-30,39-52,156-157,160-165; საქართველოს არქეოლოგია 1991:163-164,209,214-215; ნერთელი 1973:21-81]. ამ ძეგლების დასახელებისას მხედველობაში გვაქვს მდ. კოდორის, ბზიფის ხეობებში გაშავალი სამთამადნო წარმოების ძეგლებთან დამაკავშირებელი საკომუნიკაციო გზები და მათი მიმდებარე ტერიტორიების სამოსახლოდ ათვისების საკითხები. აქვე შევნიშნავთ, რომ მდ. კოდორის ზემო წელზე დალის ხეობაში, სოფ. ომარიწარში აღმოჩენილია ციკლოპური მეგალითური ნაგებობები და ყუხაზველიანი ქვის ცული [ხვისტანი 2008: 167-172;2009:102-108]. აქ ასევე გამოვლენილია კლასიკური ხანის ძეგლები (სამარხები, დამოსახლარი ჩხალთა, ზემო აჟარა, ზუტია) და შუა საუკუნეების არქიტექტურული ძეგლები [ჩართოლანი; ცინდელიანი 2010:14-15,26-29]. საინტერესოა, თანამედროვე აფხაზეთის მთიანეთში გავრცელებული ერთი ტიპის ნაგებობები აცანგუარები, რომლებიც მიეკვება ძველ ბილიკებს. ისინი გვხვდება მდინარეების ბზიფის, გუმისთის, კუზასურის, კოდორის, ჩხალთას აუზებში, სუბალპურ ზონაში. მოკლედ ისინი არის ყველგან, სადაც ხელსაყრელი პირობებია საძოვრებისთვის. აცანგუარები – სახლი ჯუჯების შედგებოდა მწვემების საცხოვრებელი ნაგებობებისგან,რომელთაგან ზოგი ცალკე იყო წარმოდგენილი, ანდა მათ ირგვლივ განლაგებული იყო სხვადასხვა სამსახურეობრივი ნაგებობები, მინაშენები, საქონლის შესანახი საკვები და სხვ. მათი ფართობი ზოგჯერ აღწევს 1500-2000 კვ. მეტრს [Воронов; Левитас 1982: 47]. აცანგუარები ზოგიერთ ადგილებში ქმნის მთელ დასახლებათა სისტემას და შედგება 15-20 საცხოვრებელი სახლისაგან [Воронов; Левитас 1982: 47; Воронов 1977:38]. კულტურული ნარჩენები მათ შორის კერამიკა ძირითადად გვხვდება საცხოვრებელ სახლებში. მათ ათარიღებენ VI-X-სს-ებით – ადრე შუასაუკუნეების ხანით [Воронов; Левитас 49].

ავეებთან არ არის გამოვლენილი სამთამადნო წარმოების ძეგლების სინქრონული სამოსახლოები. საინტერესოა სოფ. ომარიშარში 1963 წ. აღმოჩენილი გვიანბრინჯაოს ხანის ერთი სამარხი და ამავე პერიოდის განძი [ჩართოლანი; ცინდელიანი 2010:26, 8-9], რომელიც კოლხური ბრინჯაოს რვა ცულისგან შედგებოდა.

სადღეისოდ არსებული მასალების მიხედვით კოლხეთის მთიანეთში, სადაც განლაგებულია სამთამადნო წარმოების ძეგლები და მათ მიმდებარე ტერიტორიაზე (მთიანი აფხაზეთი, ზემო სვანეთი) სტაციონარული ბრინჯაოს ხანის ნამოსახლარები ე.წ. სამთომეტალურგთა დასახლებები არ ჩანს. მაგრამ არის თუ არა ეს გარკვეული არგუმენტი იმისათვის, რომ ამ რეგიონებში ასეთი ტიპის დასახლებები საერთოდ გამოვრიცხოთ; ანდა ამ სამუშაოების შემსრულებლად ჩავთვალოთ კოლხეთის ბარიდან ასული მოსახლეობა, დროებითი სეზონური სამუშაოების წარმოებისთვის.

საინტერესოა, გამოდგება თუ არა ამ მხრივ კოლხეთისთვის გარე სამყაროში არსებული მაგალითები. მაგალითად აღმოსავლეთ ანატოლიაში (ერგენი-მადენი და ქებანის რაიონი ) და თურქეთის ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მთიან მასივში (თავშან დაგი) ნამოსახლარები განლაგებული იყო სპილენძის მადნებთან ახლოს [Авилова 2010: 5-6]. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემების მიხედვით, მხოლოდ ერთადერთ სამთამადნო წარმოების ძეგლზე კოზლუში (ანატოლიის პლატო) დასტურდება ირგვლივ არსებული სამთოელებისა და მეტალურგების დროებითი ნამოსახლარი [Авилова 2010: 5-6]. კოლხეთის მაგალითზე თუ ვიმსჯელებთ მკაცრი კლიმატური პირობები არ შეუწყობდა ხელს (მაგალითად ზემო სვანეთი, ზემო რაჭა და მთიანი აფხაზეთი) მუდმივად ეწარმოებინათ სამუშაოები და სტაციონალურად ეცხოვრათ იქვე. ამის მაგალითები არც არქეოლოგიური მონაცემებითაც ჩანს.<sup>12</sup>

<sup>12</sup> ამ მხრივ აღსანიშნავია კარაგალის სამთო მეთალურგიული ცენტრი, რომელიც მდებარეობს ციმბირში, ორენბურგის ადმინისტრაციული ცენტრის ტერიტორიაზე. ამ ძეგლს 1990 წ. სისტემატიურად სწავლობს რუსეთის არქეოლოგიური ინსტიტუტის სპეციალური არქეოლოგიური ექსპედიცია. აქ სპილენძის საბადოების გიგანტურ ველს დაფარული ჰქონდა დაახლოებით 500 კმ<sup>2</sup> ფართობი. კარაგალში არის საცხოვრებელი შენობები, რომელიც შედგებოდა შესაბამისი სანარმოო შენობებისგან, საცხოვრებელი სახლებისგან, ლითონსადაწობისა და მადნის ეზოებისგან, საკულტო ორმო მალაროებისგან, ნარჩენების გადასაყრელი ორმოებისგან [Черных и др. 1999: 77-102; 1997: 21-36]. ეს ძეგლი ძირითადად თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულით – გვიანბრინჯაოს ხანით (ძვ.წ XVII- XV სს-ები) და ეკუთვნის ძელურ სამარხთა კულტურას (ძელურ-ანდრონოვსკის სამყაროს). კარაგალის უფრო ადრეული ფენები თარიღდება ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნით [Черных и др. 1997: 30].

ამრიგად, დღევანდელი მონაცემების მიხედვით კოლხეთის მთიანეთში უშუალოდ სამთამადნო წარმოების ძეგლებთან და მიმდებარე ტერიტორიაზე სამთო მეტალურგთა დასახლებები არ ჩანს. ზოგიერთ მხარეში (სვანეთი) შემთხვევით გამოვლენილი სპილენძ-ბრინჯაოს არტეფაქტები ამ მხრივ არსებულ სურათს ვერ ცვლის. უნდა ვიფიქროთ, რომ სამთო მეტალურგთა დასახლებები არსებობდა უფრო ქვემოთ, მადნის ზონიდან რამდენადმე დაშორებით. ხოლო ზემო რაჭის სამთამადნო წარმოების ძეგლების მასშტაბები, მისი სინქრონული ბრილის სამაროვანის სტრატოფიცირებული ფენები გვაფიქრებინებს, რომ აქ უნდა ყოფილიყო სტაციონარული სამთო-მეტალურგთა დასახლებები, რომლებიც შესაძლოა ლების მიდამოებიდან, სადაც მიმდინარეობდა სამთო მეტალურგიული სამუშაოები, რამდენადმე დაშორებით უნდა ყოფილიყო გამართული. სვანეთში და სხვა რეგიონებში, სადაც კი ასეთი სტრატოფიცირებული ძეგლები არ გვხვდება, უფრო საფიქრებელია სამთო წარმოების ძეგლებთან არსებული სეზონური სამთო სამუშაოებისათვის განკუთვნილი დროებითი სადგომები.

ვფიქრობთ, ზემო რაჭის მაგალითზე, სავსებით ლოგიკურად გამოიყურება მოსაზრება, რომ სპილენძის საბადოების პირველი მომპოვებლები უნდა ყოფილიყვნენ მწყემსები, მესაქონლე მეჯოგე ხალხი, რომლებსაც უხდებოდათ სუბალპურ და ალპურ ზონებში სეზონური სარგებლობა საძოვრებით, ცხვრის ფარის გამოსაკვებად [საქართველოს არქეოლოგია 1959:112]. ისინი აქ უნდა შემოსულიყვნენ კოლხეთის ბარიდან, თუ მთისწინა ზოლიდან, რომლებმაც მომთაბარე ცხოვრებისას შეამჩნიეს ზედაპირულად გამოსული სპილენძის ძარღვები, დროთა განმავლობაში ისწავლეს და ხელი მიყვეს მათ დამუშავებას [საქართველოს არქეოლოგია 1959:112].<sup>13</sup>

<sup>13</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ მთიანი რაჭის სამოსახლოდ ათვისება იწყება ძვ.წ. III ათასწლეულის ბოლოდან და შუა ბრინჯაოს დაწყისიდან. ამ პერიოდში მიაკვლიეს მადნის საბადოებს. ფიქრობენ, რომ ბრილის სამაროვაზე გამოვლენილი ადრე ბრინჯაოს ხანის ლარიბული საფლავეები შესაძლოა ეკუთვნოდათ იმ ხალხს, რომლებმაც პირველებმა დაიწყეს მაღალმთიანი ზოლის სამოსახლოდ ათვისება [ჯაფარიძე 1970:213;2013:32]. მთიანი რაჭის სამოსახლოდ ინტენსიური ათვისება კი იწყება ძვ.წ. II ათასწლეულის ბოლოდან და ამავე პერიოდიდან ხდება მადნეულის საბადოების ფართო გამოყენებაც. ვარაუდობენ, რომ სანამ მთამადნელთა ფენა გაჩნდებოდა ეს სამუშაოები უნდა შეესრულებინა მონადირეებს, მწყემსებს, შემგროვებლებს, რომლებმაც შეამჩნიეს მინის ზედაპირზე ამონვერილი სპილენძის მადანი.თვლიან,რომ ბალიჭი-ძეძვების ნამოსახლარი ეკუთვნოდა საყდრისში მომუშავე ოქროს მაძიებელ მთამადნელთა დასახლებას (ძვ.წ. IV-III ათასწლეულების მიჯნა) [ლამბაძეძე 2010:102-103].

მთიანი რაჭის სამოსახლოდ ინტენსიური ათვისება კი იწყება ძვ.წ II ათასწლეულის ბოლოდან და ამავე პერიოდიდან ხდება მადნეულის საბადოების ფართო გამოყენებაც. როგორც ჩანს, მთიან კოლხეთში მოსახლეობის დამკვიდრება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სამთამადნო წარმოების აღმავლობასთან და მეტალურგიის განვითარებასთან. თვლიან, რომ ამ პერიოდში მადნის მოპოვება და დამუშავება ერთმანეთისაგან გათიშული არ უნდა ყოფილიყო [ჯაფარიძე 1970:230-233].

მთიან აფხაზეთშიც სავარაუდოდ სპილენძის მადნის პირველი მიმგნები და მოპოვებლები უნდა ყოფილიყვნენ დოლმენური კულტურის მატარებელი ხალხი, რომლებიც არა დაჟღერ მინათმოქმედებას, არამედ მომთაბარე ცხოვრებას, ჯოგურ მესაქონლეობას მისდევდნენ. ამას კი ხელს უწყობდა დოლმენების გავრცელება შავი ზღვის სანაპიროს გასწვრივ მთიანი ტყის მასივებში (გავრცელების სიფართოე 30 კმ-დან 75 კმ-დე), სადაც ხელსაყრელი პირობები არსებობდა მესაქონლეობას განვითარებისათვის. აფხაზეთის ტერიტორიაზე უადრესი დოლმენების ფენები შესატყვისობაში მოდის კოდორისა და ბზიფის სათავეებთან განლაგებულ სამთამადნო წარმოების ძეგლების ექსპლოატაციის დასაწყისთან.

ამრიგად, თუ შევაჯამებთ ყოველივე ზემოთქმულს, შემდეგი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია. კოლხეთის მთიანეთში, სადაც განფენილია სამთამადნო წარმოების ძეგლები, მოსახლეობის დაფუძნება უნდა ვიგულისხმოთ ძვ.წ. III ათასწლეულის დასასრულიდან და შუაბრინჯაოს ხანის საწყისი საფეხურიდან. სავარაუდოდ აღნიშნულ რეგიონებში მოსახლეობის დაფუძნება დაკავშირებული უნდა ყოფილიყო სუბალპურ და ალპურ ზონებში საძოვრების ათვისებასთან, რომელმაც ისინი საბოლოოდ მიიყვანა სპილენძის საბადოების მიგნებასა და გამოყენებაზე. კოლხეთის მთიანეთი უფრო ადრეულ პერიოდებში საცხოვრებლად ათვისებული უნდა ყოფილიყო დროებით, სეზონურ საზაფხულო საძოვრებად, მეჯოგეთა მიერ მეცხვარეობის დანიანაურებასთან დაკავშირებით [ჯაფარიძე 1970:230].

ვფიქრობთ, აჭარისა და გურიის მაღალმთიან ზოლში, სადაც განფენილია სპილენძის საბადოები და პოლიმეტალური მადნები, სადღეისოდ არსებული მასალები საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ ე.წ. სამთო-მეტალურგიული დროებითი დასახლებები, სეზონური სამუშაოების წარმოებისათვის. ასეთივე სიტუაცია უნდა იყოს მდ. ბზიფისა და კოდორის სათავეებთან მდებარე სამთამადნო წარმოების ძეგლებზე. შესაძლოა, აქ მომუშავე ხალხის ნაკვალევს ასახავდეს გამოქვაბულებში (ახრა-კაპში, პალი და სხვ.) არსებული თხელი

კულტურული ფენები და დოლმენების ლითონის ინვენტარი. ზემო რაჭის მაგალითზე უფრო მისაღებად მიგვაჩნია სტაციონარული ე.წ. სამთამადნო დასახლებები, რომლებიც აქ სეზონურ სამუშაოებს აწარმოებდნენ. ვფიქრობთ, ბრილის სამაროვანი გვაგვარაუდებინებს ასეთი ტიპის ხანგრძლივი დასახლებების არსებობას.

ამრიგად, სადღეისოდ არსებული მონაცემები ასეთი ვარაუდის გამოთქმის საფუძველს გვაძლევს. მომავალში ახალმა აღმოჩენებმა და კოლხეთში ამ მიმართულებით წარმოებულმა სამუშაოებმა, შესაძლოა უფრო ნათელი მოფინოს ამ მეტად პრობლემურ და საინტერესო საკითხებს.

Leri Jibladze

### **Inhabitation of the Colchis foothill and mountain zones during the Bronze Age** Summary

Our interest is to determine existence of so called Metallurgical Mining Settlements in the Colchis Uplands, namely nearby the Mining Sites of the South Slope of Central Caucasus (Mountainous Abkhazia, Svaneti, Upper Racha). In this case we have taken into consideration the Copper deposits and on the smaller Caucasus mountains (Guria-Achara). In the Colchis highlands where are spread mining sites, we should consider settlement of population for the end of III millennium BC. It should be connected with the pasture utilization in sub-alpine and alpine zones, due which finally they found copper deposits and utilized them. Here we can assume as stationary also seasonal metallurgical mining settlements.

## ლიტერატურის სია

- აფხაზავა ი. ქსე 1977: ტომი № 2, თბილისი, გვ. 254
- აფხაზავა ი. ქსე 1984: ტომი №7, თბილისი, გვ. 327
- აფხაზავათის უძველესი მატერიალური კულტურა 2013: თბილისი ალაპიშვილი თ. 2014: მუზეუმის ქვის ხანის კოლექცია. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I, თბილისი, გვ. 30-32
- ბერაძე თ 1983: რაჭა, თბილისი
- ბოჭორიძე გ. 1994: რაჭა-ლეჩხუმის ისტორიული ძეგლები, თბილისი
- გაბიძაშვილი გ; სახაროვა ლ; სულავა ნ; სულხანიშვილი დ. 2004: ლეჩხუმის არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები (1989-1991 წწ).საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება 1989-1992 წლებში ( მოკლე ანგარიშები), თბილისი, გვ. 121-123
- გობეჯიშვილი გ. 1942: ბრინჯაოს ქართული უძველესი ბალთები. საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი
- გობეჯიშვილი გ. 1963: შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაო-რკინის ხანის ექსპედიციის კვლევა-ძიებანი. XI სამეცნიერო სესიის მასალები საქართველოში 1962 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბილისი, გვ. 26-30
- გობეჯიშვილი გ. 1970: გვიანი ბრინჯაოსა და ადრეული რკინის ხანა საქართველოში. საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, თბილისი
- გოგიტიძე ს. 1978: სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ნეოლითური კულტურა, თბილისი
- გოგიტიძე ს. 2008: კინტრიშის ხეობის ქვის ხანის არქეოლოგიური ძეგლები, თბილისი
- გოგოჭური გ; ორჯონიკიძე ალ. 2010: თისელის სერის მტკვარ-არაქსის ნამოსახლარი და სამაროვანი. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი. სამხრეთ კავკასიის მილსადენი და არქეოლოგია საქართველოში, თბილისი, გვ.110-132
- გურია I, 1996: თბილისი
- გურია II, 1997: თბილისი
- გურია III, 2001: თბილისი
- გურია IV, 2006: თბილისი
- გურია V, 2007: თბილისი
- ინანიშვილი გ; ჩართოლანი შ; მაისურაძე ბ; გობეჯიშვილი გ.1998: უძველესი სამთამადნო წარმოების ძეგლები, ძიებანი 2, გვ. 52-59, თბილისი

- კალანდაძე კ 2006: ლეხიდარის ხეობის ნამოსახლარი. ძიებანი საქართველოს არქეოლოგიაში, თბილისი, გვ. 36-43
- კახიძე ა; მამულაძე შ. 1993: აჭარისწყლის ხეობის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, ბათუმი
- კახიძე ა; მამულაძე შ. 2000: ქუროხის აუზი კოლხური კულტურის უძველესი კერა, ბათუმი
- კვიციანი ზ; ჯიბლაძე ლ. 2010: კოლხეთის მთისა და ბარის ურთიერთობის საკითხები ბრინჯაოს ხანაში (ზოგადი მიმოხილვა სვანეთის მასალების მიხედვით).თბილისი, გვ. 32-36
- კვიციანი ზ; ჯიბლაძე ლ. 2015: უახლესი არქეოლოგიური აღმოჩენები სვანეთში (ლითონის არტეფაქტები), თბილისი
- ლორთქიფანიძე ოთ. 2001: განძები კოლხურ ბრინჯაოს კულტურაში (ფუნქციის დეფინიციისა და კულტურულ-სოციოლოგიური ინტერპრეტაციის ცდა).კავკასია ნეოლით-ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიის საკითხები. ძიებანი, დამატება № 6, თბილისი, გვ. 178-194
- ნუცუბიძე ა; სახაროვა ლ; კალანდაძე კ; მინდიაშვილი გ. ნამოხვანის არქეოლოგიური ექსპედიციის 1979 წ. ანგარიში, ხელნაწერი ონის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. კატალოგი 2014, თბილისი
- რამიშვილი ალ. 1974: კოლხეთის მატერიალური კულტურის ისტორიიდან, ბათუმი
- სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები 2007: აჭარა, ტომი I, თბილისი, გვ. 135-143
- საქართველოს არქეოლოგია 1991: თბილისი
- სახაროვა ლ. 1966: გვიანბრინჯაოს ხანის კულტურა ცხენისწყლის ხეობაში, საკანდიდატო დისერტაცია, ხელნაწერი
- სახაროვა ლ 1976: ლეჩხუმის 1970-1971 წწ. არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები. მაცნე ისტორიის სერია, № 3, თბილისი, გვ. 96-104
- სახაროვა ლ. 1976ა: ბრინჯაოს განძები ლეჩხუმიდან ,თბილისი
- სახაროვა ლ; სულავა ნ. 2014: ცხეთის ნამოსახლარი (ლეჩხუმის 1970-1971 წწ არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობის შედეგები). ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I, თბილისი, გვ.67-86
- სულავა ნ. 1996: მთიანი კოლხეთი ანტიკურ ხანაში, თბილისი
- სულავა ნ. 2014: ცაგერის ისტორიული მუზეუმის განძები 2014: ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I, თბილისი, გვ. 46-53
- სულავა ნ. 2014ა: ყუამილიანი ცული ცაგერის ისტორიულ მუზეუმში. ცაგერის ისტორიული მუზეუმის შრომები I, თბილისი, გვ. 40-45
- ჩართოლანი მ. 1992: დასავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში სვანთა თავდაპირველი დასახლების საკითხისათვის, მაცნე № 2, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, გვ. 68-82

- ჩართოლანი შ. სპილენძის ძველი გამონამუშევრები მდ. ბზიფისა და კოდორის ხეობაში. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში 1969 წელს თბილისი, 1971, გვ. 49-61
- ჩართოლანი შ. 1996: ძველი სვანეთი, თბილისი
- ჩართოლანი შ, ცინდელიანი მ. 2010:  
 ჭანიშვილი თ; სადრაძე ვ. 1996: მასალები გურიის მხარის არქეოლოგიური შესწავლის ისტორიისათვის. გურია I, თბილისი, გვ. 41-54
- წერეთელი ლ 1973: მეზოლითური კულტურა კავკასიის შავიზღვის-პირეთში თბილისი
- ჭანიშვილი თ; დავლიანიძე რ; სადრაძე ვ. 2006: გურიის მხარის ისტორიულ-არქიტექტორული და არქეოლოგიური ძეგლების არასრული ნუსხა. გურია IV, თბილისი, გვ. 130-143
- ღამბაშიძე ო. 1961: ძველი მოსახლეობის ნაშთები ბრილში. საქართველოში 1960 წელს ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, თბილისი, გვ.23
- ღამბაშიძე ო.1963: მდ. რიონის შუა წელის გვიანი ბრინჯაოს ხანის კულტურა.საკანდიდატო დისერტაცია. ხელნაწერი
- ღამბაშიძე ი; მინდიაშვილი გ; გოგოჭური გ; კახიანი კ; ჯაფარიძე ი. 2010: უძველესი მეტალურგია და სამთო საქმე საქართველოში ძვ.წ. VI-III ათასწლეულებში,თბილისი
- ღლიღვაშვილი ე; კახიანი კ; სადრაძე თ 2016: გურიის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ნუსხა ჩამონათვალი,კრებული გურია VI, თბილისი, გვ. 157-173.
- ხვისტანი რ. 1986: მელითონეობის კერა გვიანბრინჯაოს ხანი კოლხეთში.ისტორია, საზოგადოებათმცოდნეობა, გეოგრაფია სკოლაში. № 2, თბილისი, გვ.70-76
- ჯაფარიძე ო. 1950: კოლხური ცული, სსმ XVI- B, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 1970: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, 1970, თბილისი
- ჯაფარიძე ო. 2013: ბრინჯაოს ინდუსტრიისათვის უძველეს საქართველოში,თბილისი
- ძნელაძე მ. 1199-2001: ბრინჯაოს ბრტყელი ცული ლაბეჭინის ეკლესიიდან. წელიწდეული საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის დეპარტამენტი, თბილისი, გვ. 179-181
- Авиллова 2010: Обмен металлов на Ближнем Востоке в раннем и среднем бронзовом веке, РА N1, Москва,стр. 5-14
- Воронов Ю. 1982: Древности Азантской долины. Тбилиси
- Воронов Ю; Левинтас В. 1982: По древним тропам горной Абхазии, Сухуми



- Куфтин Б. 1949а: Археологическая маршрутная экспедиция в юго-осетию и имеретию Тбилиси
- Нуцубидзе А; Сахарова Л; Каландадзе К; Миндиашвили Г. 1982: Отчет о работах Намахванской археологической экспедиции, ПАИ в 1979 году, Тбилиси, стр.125-136
- Соловьев Л 1960: Погребение дольменной культуры в Абхазии и прилегающей части Адлерского района. Труды Абхазского ин-та языка, литературы и истории т. XXXI, Сухуми
- Техов Б 1977: Центальный Кавказ в XVI-X вв. до н. э. Москва, 69-100
- Чартолани Ш. 1989: К истории нагорья Западной Грузии доклассовой эпохи. Тбилиси
- Черных Е 1997: Каргалы- Крупнейший Горно- металлургический комплекс северной Евразии в древности, РА N1, Москва, 21-36
- Черных Е; Кузминых В; Лебедева Е; Агапов С; Лунков В; Орловская Л; Тенеишвили Т; Волков Д. 1999: Археологические памятники эпохи Бронзы на Каргалах (Поселение Горный и другие) РА N1, Москва, 77-102